

ახალი ამბავი.

10 თებერვლის ქალაქის თვითმართველობის საბჭოს დარბაზში ქალაქის მოუზრავმა ი. ჩიქოვანმა გამართა კერძო თათფირი, რომელსაც უნდა განეხილა ნ. ნიკოლაძის პროექტი საფინანსო კომისიის მიერ შესწორებული. როგორც უწყით კომისიაში პროექტი იმდენად შეიკვალა, რომ კონკრეტულად ნ. ნიკოლაძემ კატეგორიულად გადაწყვიტა — შესწორებული პროექტი ხელს ვერ მოვაწერო. 10 თებერვლის კერძო თათფირს 5. ნიკოლაძეც დაესწრო. დიდ ბჭობას შემდეგ თათფირმა ხმის უმრავლესობით მიიღო პროექტის პირველი მუხლი. ამას შემდეგ გაიხსნა ოფიციალური სხდომა. ქალაქის მოუზრავმა მოახსენა საბჭოს, გადაცვალა ლევირ ფასის ხმოსნის მ. ა. ქიქოძისა. გადაცვალბული 24 წელს იყო ხმოსნათ.

საბჭოს მოხსენა ის ზომები, რომლითაც უნდა აინიშნოს გადაცვალბული ხსენა. სხვათა შორის, გადაწყდა ქალაქის საავთმყოფოში დაარსდეს ერთი უფასო საწოლი მ. ქიქოძის სახლობაზე.

ბაღდათის უბნის აქიმათ დინიზნა აქიმა გ. კახიანი ამის ადგილზე ხრესილის უბნის აქიმათ რაქიდან გადმოიყვანეს გზა. აბულაძე. რაქაში დინიზნა აქ. დ. ჯავახიძე რაქის მარხის აქიმათ. ამასვე ევალბა ასარულოს ქუთათისას ქალაქის აქიმის მოვალეობა ახალ განკარგულებამდე.

1 თებერვლიდან ქუთ. ციხის უფროსი ჩაპსკი ავთამყოფად ითვლება. მის ადგილას დროებით ინიშნება მისი თანაშემწე პოლკოვნიკი.

ხონის ქალთა წრეს ხუთი ღარიბი მოწოდების გაუმართავს ხელი და შემწეობა აღმოუჩინა და არა ორისთვის, როგორც ჩვენს გაზეთში იყო მოთხრობული.

ნაოლაღვის მასწავლებლათ ა. და გ. გაბისონიძეს, ალექ. კვირიაშ, გ. დოლიძის თაოსნობით შეუდგნით მგალობელთა გუნდი და საშობაო „ალოლოზე“ 53 მან. 16 კაპ. შეუგროვებიათ და ეს ფული შეუწირავთ ნაოლაღვის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოთვის. სამკითხველოს გამგეობა მადლობის სწორავს გუნდსა და იმათაც, ვინც წყლილი გაიღო სასარგებლო საქმის სასარგებლო.

გაზეთი „კავკაზი“ სწერს: „ეპისკოპოსმა ანტონმა, საქართველოს ეგზარხოს წარუდგინა შარშან ზაფხულში თავისი მოგზაურობის ანგარიში ფშავ-ხევსურეთში. ეპისკოპოსს საქართველოშია მიმდინარე, ნახევრად ქრისტიან და ნახევრად წარმართთა მხარეში“ ქრისტიანობის გასაღვივებლათ გაგზავნოს სახარებისა და ჯვრის წამძვარებით. ეგზარხოსმა ალექსიმ ამ მოხსენების მიხედვით, უკვე შეუქვეთა მოძრაი ეკლესიის დამზადება, რომელსაც ამ ზაფხულს თან გაიმდგარებენ და ამ წარმართთა მოსაქრისტიანებლათ აქტიულის წირვა-ლოცვის გამართვენ. ამასთანვე დაარსებენ პატარა ჯვრებსა და წიგნებს“.

განზრახვა, მოკლე ხანში ხაზურში რეალური სასწავლებელი გახსნან.

ბაზრის ზედამხედველის თანაშემწე ოქმი შეუდგინა თვ. ქუჩის მოგვარების ონისიშე შალაშვიტის დილით მოსაგებათ ფქვილის ყიდვისათვის.

მიუხედავად ბევრი ოქმისა, ჰურის ნიხრ ზევით გაყვდისათვის და უსუფთაობისათვის, მეჭურვები მაინც დიდ თავგასულობას იჩენენ, რის სხვრულიც უფრო ღარიბი და უცოდნარი მოქალაქენი ხდებიან.

ჭოგნარის საზოგადოება (ქუთ. მარა) განუზრახავს შეამდგომლობა აღბრას მთავრობის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ, როგორც შარშანდელი მოუსვლობის გამო დაზარალბული.

სოფ. ცუცხვათში (ოკრიბა) განუზრახავთ დაარსონ სამკითხველო, რომლის განხორციელებისათვის დახმარებას სთხოვენ წ. კ. გ. საზოგ. ქუთ. განყოფილებას.

თფილისში ი. იმედაშვილს შეამდგომლობა აუძრავს გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართონ განახლონ

გამოცემა ტურნალის „გაზეთი და ცხოვრება“.

ქუთათის ბაზარზე ამ ემათ დიდი სიძვრება, მოუხედვით იმისა, რომ ამირი კარგია და სოფლიდან სურსათის შემოტანა იოლია. მაგრამ მოუსვლობით სოფელიც დაზარალბულია და რა შემოიტანოს ბაზარზე, სიმიდის ფქვილი 6 აბაზათ ფასობს, ლობიო 2 მან., კვერცხი აბაზათ ხუთი და ყველი გირვანქა ხუთ შაურათ.

მოწერილი ამბავი.

ს. ჟგალა (ოღიში). ჟგალი ბუნებით მდიდარია, მხოლოდ აქაური მცხოვრებნი ამ სიმდიდრით ნაკლებს სარგებლობენ სიბნელის გამო. სულ მუდამ ღვირის სმასა და ჩხუბშია აქაური ხალხი გართული და საერთო სასარგებლო საქმეზე არავინ ფიქრობს. აქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ არის გარდა ერთი სამკომპლექტინი სამინისტრო შკოლისა და ისიც უიღბლოა. ამ შკოლაზე შრომობს შეძლებისა გვარად ერთადერთი მზრუნველი მისი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ნივთიერი შემწეობით, აგრეთვე თავისი მედგარი შრომით. მაგრამ მადლობის ნაცვლად ჟგალის საზოგადოების უმეტესი ნაწილი მზრუნველობიდან გადაყენებას ემუქრება.

მხიარ ბანაგარსება.

გაზეთი „ერის“ 4 თებერვლის ნუმერში ახალ ამბათ, სხვათა შორის, მოთხრობულია შემდეგი: „იმ მოხსენებაზე, რომელიც ა. ბერეკაშვილის ქალმა წაიკითხა გასულ შაბათს (სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრების გამო პეტერბურგში), ქალაქის მასწავლებელთაგან მხოლოდ ერთი-ორი კაცი დაესწრო“ და თან გვიკითხება რედაქცია: „არ ვიცით, რატომ მოხდა ეს ამბავი?“ ვიდრე უფრო ვიკითხავთ თავს მკითხველ საზოგადოებას ვაუწყებ: „შაბათს, საღამოზე 7 საათზე, ა. ბერეკაშვილის ასული გვიწვიდა ქალაქის მასწავლებლებს მეორე საქალაქო სასწავლებლის შენობაში, სადაც მას უნდა წყევითხა მოხსენება პეტერბურგში მომდარ სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრების ანგარიში. ამავე დღეს (შაბათს), ნახევრადღეს ორ საათზე სამოსწავლო კომისიის თავჯდომარე აცნობა მასწავლებელთა და იწვევდა მათ (რაც იშვიათ მოვლენათ უნდა ჩათვალოს), ქალაქის გამგეობის დარბაზში ამავე მოხსენების მოსამსენათ. მასწავლებლები ყველა წავიდა მეორე საქალაქო სასწავლებლის შენობაში სრულიად დარწმუნებულნი, რომ ისინი იქ მოამსენდნენ მოხსენებას, რადგან ინიციატივა ამა მოწვევისა ეკუთვნოდა ა. ბერეკაშვილის ასულს და არა საშკაოლო კომისიის თავჯდომარეს ბ. გ. ბარათაშვილს, რომელიც ეს ორი წელიწადია სისტემატიურათ ღვევის მასწავლებლებს კომისიის სხდომებიდან სრულიად უშეზღუდოთ. საბჭოს საშკაოლო კომისია 1905 წ., რა რომ ქალაქმა სამი უკანასკნელი შკოლა გახსნა, ყოველთვის იწვევდა თავის კრებებზე ყველა მასწავლებელს და მათთან ერთად სწევტდა სხვადასხვა შკოლის საკითხს, ამას მოითხოვდა და მოითხოვს შკოლების მოგვინათ მართვამებლობა; ასე იყო, როდესაც სხენებულ კომისიის თავჯდომარეობდა ბ. ა. ოცხელი და შემდეგ თავად ს. ლორთქიფანიძე. ახლანდელი საშკაოლო კომისია კი ბ. გრიგოლ ბარათაშვილის თავჯდომარეობით მთელ თავის ცოდნაში იყო, როგორც მასწავლებლები თავიდანვე მოეზრებია და კიდევც მიაწია თავის მზანს; მან ჯერ მასწავლებლები განდევნა კრებიდან და შემდეგ შკოლების გამგეობიც მიაყოლა თან. აგრე განდევნა პროგრესული პირებიდან“ შემდგომმა სამოსწავლო კომისიამ მასწავლებლები სხდომებიდან და წასულ შაბათს კი ნება დართა მათ, მისულიყვენ სხდომაზე მოხსენების მოსამსენათ.

აი, მთავარი მიზეზი, რისთვისაც მასწავლებლები არ დაესწრნ პირველ თებერვალს ბერეკაშვილის ასულის მოხსენებას საშკაოლო კომისიის თავჯდომარის მოწვევით.

მხიარ თუ დიდი შენიშვნა.

(წერდა რედაქციის მამართ.)
ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალე-

ბით ორიოდ სიტყვა ვსტყვა იმ სამწუხარო წერილების გამო, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ 1110 და 1112 ნუმერებში და, რომელიც შეეხება თფილისის მეორე გიმნაზიაში ქართული ენის სწავლებას.

არავისთვის დაფარული არ არის, რომ მთავრობისა (და ხშირად კერძო) სასწავლებელთა გამგებელნი მაინცდამაინც თავს არ იტკივებენ ქართული ენის სწავლების კარგათ მოწყობისათვის. არც ის არის დამალოელი, რომ ბევრს, —გადაგვარების გზაზე შემდგარ, —ქართველ მშობელს, არ ესმის მნიშვნელობა დედებისა და თავის უფროსების თვალში კატასავით შემყურე, შხად არის საღამოდან მამლის ყოვლიადელ სამჯერ გაპყილთ თავისი ენა და სამშობლო, რასაც, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს, გასაწმადებლად მიჰყვება კი ახა, მაგრამ მაინც ღღევანდელ ღუჭურის ღღის სიტყვისაგან გამოწვეული მიზეზები.

ამ მიზეზის მოსპობა მთელი ქართველი ხალხის მოვალეობაა. ყველამ მედგარი წინააღმდეგობა უნდა გამოუცხადოთ ჩვენის ენისა და ჩვენი შკოლების შემწეობისათვის, მაგრამ არ შემოძლია არ აღენიშნა ის სამწუხარო მოვლენაც, რომ, ხშირათ, თვით ქართული ენის მასწავლებლები ვართ დამნაშავე და, აი, რათა:

რადგანაც აწ არსებულ სასწავლებლებში ქართული ენა „სავალდებულო“ საგნად არ არის იღებულ და რადგანაც ქართული ენის მასწავლებლები ვერ სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც მიანიჭებული აქვთ „შტატის“ მასწავლებელთ, ხშირად ქართულის მასწავლებელ დგება ისეთი ვინმე, რომლის ადგილი სასწავლებელში კი არა, —ბაზახანაშია! ვინც კი ქართული ანაბანა იცის, შხადია ხელი მოკიდოს ამა თუ იმ მასწავლებელს ქართული ენის მასწავლებლობას: ერთი ლუკმა პური ხომ შექნება და სხვა ყველაფერი შვ წყალსაც წაუღიო! ასე ფიქრობენ ეს უკეთურნი და კანდიდებებიან კიდევ იკისრონ ქართული ენის „მასწავლებლობა“. ამგვარ ხალხს, ალბათ, არ უყვარს თავისი საგანი, არ უყვარს და არც არაფერი ესმის რა ქართული ენისა, ქართული მწერლობისა და ვერც წარმოდგენია —რა დიდი მოვალეობა მთავრობის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება... არ უყვარს თვით ქართველი ბავშვები —ეს გამჟღავნებელი ჩენი უკეთესი მომავლისა —და ისე, ადულ ზეტზე, —ისე, —იოლათ —სურს გამოვიდეს!..

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც მე თითონ ქართულის ენის მასწავლებლათა ვარ და გულის ტკივილით უნდა აღვივარო, რომ თუ ჩვენი ბავშვები გულ-აკრებულად არიან ქართულ ენაზე, რამდენითაც ისე ქართული ენის მასწავლებლათ ბრალია, ვინაიდან ბავშვებს ვერ უღვიძებენ სრულს ქართული ენის შესწავლისა და ვერ აყვარებენ მშობლიურ ლიტერატურას, მწერლობას.

ლათინურისა და სხვა ომხო-ბოიხო სავნების სწავლებით გავგებულნი და გამოთავყვანებული ქართველი ბავშვი იძულებული ხდება გაეცეს ქართულ გავრთილებებს, მით უმეტეს რომ ამ გავრთილებებს ხშირად და უმთავრესად მეზუთემეექვსე სათები აქვს მიჩენილი, ის დრო რომელ დროისთვისაც მოაწეცა და მასწავლებელიც უკვე მოაღულ-მოქანცული არიან!

მე სრულიად არ მივირს, რომ სასო მხილი ჩვენი ბავში გაუბრის მეჭუთე და შეგვეს გავკეთილებს ქართული ენისას, ან პირდაპირ უარს ამბობს ამ გავკეთილებზე, ვინაიდან იგი ასე ფიქრობს: „მე ხომ ყოველ შემთხვევაში, ქართული ვარ —და რაც უნდა ვცდილი და „ვხუბრო“ ლათინური, თუ სლავიანური-რუსული, ქართული უფრო უკეთესად მეცოდინება, მით უმეტეს, რომ ქართულ ენაში მიღებული 2 (ორი) არაფერს დამიშლის, მაგრამ სხვა სავალდებულო საგნებში კი საბოლოოთა „ორი“ რო მივიღო, მთელი წელიწადი უნდა გაემწოდებო მეცა და ჩემი მშობლებიცაო“. მე მგონია ასევე უნდა სჯიდეს ბევრი დედ-მამაც და, თუნდ კარგი ქართველებიც იყვნენ, იძულებული ხდებიან „ისევე შინაურ ღვდელს შენდობა არ მოსთხოვონ“!

მე თითონ მშობელი გახლავართ, მე თითონ მყავს შვილები-მოსწავლენი და მე რო ჩემი ბავშვების ტანჯვისათვის მი-

ყურებია ლათინურისა, ან სლავიანურათ ლოცვების დასწავლის დროს, გული შემეკუმშვია!..

ზის საწყალი ბავში თავის ოთახში ერთი... ორი... სამი საათი! გ-დაფიქრებული კბილავს და ღუღუნებს უცხო და სრულიად გაუგებარ სიტყვებსა და წინადადებებს... მაგრამ მაინც თავში არა რჩებაარა!

— რა ვქნა, დედილო, რა წყალში ჩავარდე, მაშინ, ვერ დავისწავლე ეს ოხერი ლოცვები, თუ ლათინური და ხელო კი მასწავლებელი თავზე უცხლს გადამკისროს! ენა მოკიდებით, გაუბედვით ამბობს ბავში და თან მდუღარებას აფრქვევს. იმასაც აქვს თავმოყვარეობა, თავისი უმანკო ბავშური ამყვობა: არ უნდა შერცხვენა არც მასწავლებელთან და არც მშობლებთან!

— არა უხეშარა, გეთაყვა, ხელო ცოტა ადრე ადგე და ერთხელ კიდევ ჩაიკითხე! — ეუბნები შენ და დოსებულ ბავშვს რო ხედავ, გულში სწყველი არაბც თუ ლათინურსა, ლოცვებსა თუ ალგებრას, არამდ მთელ ქვეყანას, მთელს თანამედროვე ცხოვრებას!..

ბავშვს მთელი ღამე მოუსვენრათა სძინავს... ბორკავს... იტანჯება. შერცხილი გფრთხება, გული გიკვდება. რამდენჯერმე დახედავ, შუბლზე ხელს დაადებ, საბანს გაუსწორებ, მოკრძალებით აკოცებ ქოჩორზე და გათენებისას ძლივს ჩაგძინება...!

ბავში კი უკვე წამოდგარა და მშობლებს ძილი რომ არ დაუფთხოს, ოდნავ გაუშვებულ ლამპართან ხმა ჩაწყვეტილით ღუღუნებს: „როდესმე თუ შემიყუთ ტია ველიჩაემ... როდესმე თუ შემიყუთ ტია ველიჩაემ!...“

რაც გინდა ბრძანეთ, ბატონებო, და, მე კი მგონია, რომ თვით კი გრავის დღაც კი მეექვსე გავკეთილზე არ დასტოვებდა ასე დატანჯულ შვილს!..

ასეთი რომ არის ქართველი მოსწავლის ყოფა-მდგომარეობა, ასე აბუჩად ავდებული რომ არის ქართული ენა მთავრობისა თუ გადაგვარების გზაზე შემდგარ ქართველ მშობლებთან, მე მგონია, ქართული ენის მასწავლებლობა უნდა ეკისრებოდეს!

ა) მკოდნეს თავისი ენისა და მწერლობისა; ბ) მასწავლებელი იგი უნდა იყოს პასუხის მგებელი და დაფასებული ქართველი საზოგადოებისაგან; გ) ქართული ენა არ უნდა ისწავლებოდეს „შაბლონურათ“ —გათვლილად —ჩინოვნიკურათ: „ოტ სელე დო სელე“; დ) შკოლის გამგებელნი (ქართველნი მაინც) და „შმობელთა წრე“ (სადაც კი ასეთი არსებობს), ყოველის ღონით უნდა სცდილობდნ რომ ქართულ ენას (იგი, როგორც სხვათა სამშობლო ენას) დაეთმოს პირველი დანი გაკვეთილად, მით უმეტეს რომ გაწესრიგება გავკეთილებისა (расписание уроков) სასწავლებლის უფროსის საქმეა. ე) ამა თუ იმ ქალაქის სასწავლებლთა ქართული ენის მასწავლებელნი წელიწადში ორჯელ თუ სამჯერ მაინც უნდა იკრიბებოდნ აზრთა გასაზიარებლად და ქართულის სწავლების საქმის მოსაწესრიგებლად და სხვადასხვა. *) ერთის სიტყვით, რაკი სხვებს ჩვენი ჯავრი არა აქვთ, ქართული ენის მასწავლებლები თვითონვე უნდა ცდილობდნ ქართული ენის დაცვასა და აღორძინებას მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში.

ამას რომ ვამბობ, რასაკვირველია, მე არ მინდა გამართლება იმ ქართველ საზოგადოებებისა, რომელნიც მთავრობასა სთხოვენ: „ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლიათ“, მაგრამ იმას კი თამამათ ვიტყვი, რომ თუ ისეთ ვერავ განცხადებას ბედავს „პაწაწინა ქართველის“ რომელიმე დედა თუ მამა, ჩვენ, ქართული ენის მასწავლებელთაც, —მიგვიძღვის დიდი დანაშაული! —ჯერ ერთი იმით, რომ საჯაროთ არ ვაცხადებთ ამ გვარ უკუღმართ მშობლების სახელს, და გვარს და მეორეც, ჩვენის მშინარობის თუ დაუღვწრობისა გამო, არა ვცდი-

*) არ შემიძლია მადლობათ არ მოვასხენიო ქუთათისა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დრავით ინსპექტორად ნამუთფი სეიმაზი აფანეს ქე ოცხელის გულმადგინება და მწერწველბას ქართული ენის შესახებ. მისა მეგობრით ამ წყდს ზე მო აღნაშნულ სასწავლებელში ქართულ გაკვეთილებს მარჯვად საათები ბჭეს ღამობადა.

ლობთ ჩვენის ენის უფლებას დაცვას და აღდგენას! არა ვცდილობთ უკვე მშობლებს! შვილებს მაინც... შვილებს ჩვენი ენა დასწავლობა!

მაშ, შექნენ სხვა სწავლებელი ქართულს კოლეგებო, და თუ რამე შეცდომაქვს ამ სახელდაბელო წერილში გამისწორეთ, მაშინ, ოდნავ კი საშვილო-შვილო საქმე მოწესრიგდეს...

იო ეკლამე.

10 თებერვალი 1914 წ.

ქ. ქუთათსა.

გაქვლითი სისუპის შენიშვნა.

(გაქვლება, ახ. „ერა“ 32-ე №).
1. ქალაქის მოუზრავთ ახალი არჩეული გახლდით, როდესაც მოვიდა ამბავი: შვი ზღვის ნაპირზე რკინის გზა გაყავთ რომელიც ჩვენი რკინის გზის უმთავრეს მაგისტრალს უნდა შეუერთდესო. ყველას იმედი გავვიღვიძა ამ ამბავმა, —იქ ნება, ღმერთმა იწებოს, და ახლა მაინც გაიყვანონ ჩვენს დავიწყებულ საცდალ ქუთათსაზე რკინის გზათ. ძალიან გულმხურვალეთ შევუდგეთ ამ საქმეს; თავი არ დამიზოგავს —იქნება რამე გამოდნეს მეთქი. მოხსენებაც ბევრი დავსწერე ყველგან საქირო გამოკვლევა წარვადგინე; არ დამიკლია მეცადინობა მეფის მოადგილესთან და მინისტრებთან, მაგრამ ბედმა არც ახლა გალინა ტანჯულ ქუთათისა და ჩვენს შეამდგომლობაზე უარი გვითხრეს. მერე რა არის აქ ჩემთვის სასიკრტო? განა ეს პირველი მაგალითია, რომ ჩვენს სამართლიან შეამდგომლობას უყურადღებოთ სტოვებენ? მამრალბენ, ვითომც ამ საქმეზე ათას მანეთადი დამხმარჯოს. ეს ასეთადე უსინიდისო სიტყუა, როგორც სხვა ყველა, გაბოროტებული „გაქვნიდლისაგან“ მოგონილი. ამ საქმით გამოწვეული ღვეშის ხარჯი ორმოც მანეთსაც არ აღემატება. განსაკუთრებით ამ საქმის გამო არსად წავსულვარ და ერთი აბაზიც არ დამიხარჯავს; თუმცა ერთს გარეშე ცნობილ ინჯინერს მშენებრი გამოკვლევა შევადგენი ნიე მინისტრთაში წარსადგენათ, მაგრამ არც იმ გამოკვლევაში დამხმარჯავს რამე, რადგან იმ მაღლიანმა ინჯინერმა მეუთად შემიდგინა გამაყვლევა და რა მათემატიკის საშვალდებით გამოიყენეთ, ბ. „გაქვნიდლიო“, ათასი მანეთი იქ, სადაც ორმოცი ძლივს იყო! ვსტყვათ, ათასი მანეთიც დახარჯულიყო ისეთი დიდი საქმის მეცადინობაზე, განა ეს სამარცხენო იქნებოდა? დღეს ასე ბანებთ, და ამ საქმისთვის რო ყურადღება არ მიმექცია, არ მემაყდინებია, მაშინ ქვეყანას ამცნობდით ჩემს უნიკობასა და უმეტიებას?

2. მეოთხე ხიდის საქიროება ქუთათისში დიდიხანია შეიგნა ქალაქის გამგეობამ, მაგრამ ჯერ მისი გაკეთება უფულობის გამო ვერმოუხერხებია. გამგეობაში შესვლისთანავე დავწერილბით შევისწავლე ეს საკითხი; ადგილობრივ რამდენიმევე მზრუნველბთან ბჭობაც მქონდა იმის შესახებ, რომ რა იმე საშვალეა გამოგვეტენა ხიდის ასაშენებლათ, მაგრამ ჯერ ვერაფერი გადაწყვეტიტო. ინჯინერს ხიდის პლანი და ხარჯთაღრიცხვა შევადგენი და კიდევ მოველაპარაკე ამის შესახებ თფილისსა და პეტერბურგში ყოფნის დროს ხიდის მშენებლებს, მაგრამ უფულობა ხელს გვიშლის და იმედს სულაც არ დამიკარავს ამ საქმის კეთილად დამოლოებისა... და ნეტავი რას შედეგება ეს სასაცილო „გაქვნიდლიო! როდის მოვასხენ —ისეთი სასწულ მოამქმედი ვარ, რომ, როგორც რასმე ხელს მოგვიდებ, იმ წამმევე გავაკეთებ-მეთქი?

3. მოუფულოთ, სრულიად გავერანებული ქუთათისის ბუღვარი მცხოვრებლების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ერთადერთი სულის მოსაბრუნებელი ადგილი შუაგულ ქალაქში ბაღს კი არა სანაგვე ადგილს უფრო გავდა. ახალი გამგეობის მეცადინობით ბაღის სასიამოვნო შეხედულობა მიიღო, რომელიც დღეს აქს. ბევრი ახალი მცენარე მოვატანით სხვა ქალაქებიდან და დაკრეთ შიგ; ამ მცენარის ყიდვით ქალაქის კასისთვის არავითარი ხარჯი არ მიგვცია, რადგან თითქმის ყველაფრის შოვნა მუქთად მოვასხრებთ. რადგან აუცილებელი საქირო იყო ზაფხულში, ორი ღამეში პავლიონის აშენების უფლება მივიცით ბილფულის წყლების ქარხნის პატრონს ლაიძეს და მის ახანავს ბო-

შევიტარა. ენევაში ამოაჩინეს ჯაშუ-
თა ორგანიზაცია, რომელსაც დამოკ

დემუტოვებმა ქონის საფრანგეთთან, რუსეთთან, გერმანიასთან და ავსტრია უნგრეთთან.
ინგლისი. იმ დროს, როდესაც 200 სტუმარი შეკრებილი იყო ბერტონის სადგურზე მგზავრებ შორის მყოფს შვილობიანობის ლიგის ხელმძღვანელს, 67 წლის მამუცის ლორდ უერდელიუსთან მივიდა სუფრაისტი ქალი და პირის სახეზე მათობა გადააწინა. მოხუცი წიამ-ცა. პოლიციელმა დააპატიმრეს სუფრა-ისტი ქალი. ლორდ უერდელმა განაცხადა, რომ ის თავად ლორდ ანტონიუსის ქალიშვილი იყო.

აღმოს. აფრანკ. ალბერტის ტბის ახლოს ამოაჩინეს ნათესის დიდი წყაროები.
აგსტინი. აქ დიდ ყურადღებას და მნიშვნელობას აქცევენ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ახალი ელჩი პეტერბურგში სისახლეში მიიღეს ჩასვლის მეორე დღესვე მაშინ, როდესაც ავსტრიის ელჩი ვერ ელირსა კარგი ხანა ამ პატივისცემას.

ქართული საზოგადოება

ველირსეთ... დიდ ვიზავლას შემდეგ, როგორც იქნა, გაიმართა ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა კრება „საქართველო“ მერე გაიმართა სურათები ქართველთა ცხოვრებიდან. მოაწვევეს სურათი „ალავერდობა“, რომელშიც მკურნალებზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. ჩაქურთაქულა-ჩოხებში, წვანე ველზე წამოწოლილი, აფრადებული გორაკები, შარს მყინვარი, კახური მრავალფეროვნობა და თარი-კარგი სანახავე იყო. იყო ჩვენებური სხვადასხვა ცეკვა: კინტაური, ლეკური, ბალადური და სოფლური თამაში „გოგონაზე“. დარბაზის მორთულობასაც არა უშავდა. აქ ნაბიჯი გაკეთებული ღუქანი—ნი უიჯაი გო-ლუბჩიკი მოი, იქ გაუვალი კლდე „пронеси господи“ და ალანის ხეობა. დარბაზი ხალხით დაკავშირებული იყო. დილის ოთხ საათზე ნასიამოვნები ხალხი დაიშალა.

მოწოდება

1913 წლის 4 დეკემბერს ულმობელმა ციხეში დაბა ლილიაში (ლიხთში) იმსხვერპლა სამოცდაცხედრით მოსახლე გერმანი, რომელთაც არც სახლი და არც საკმელო აღარ დარჩენილი და ბავშვებთან მშვიტ-მწყურვალნი, უბინათ აუტანელ გაჭირვებაში არიან.
უმაღლესი მთავრობის ნებართვით დაბა ლილიაში კომიტეტი დაარსდა, რომელსაც ევალბა ღვთის მოყვარე ხალხს მიმართოს და სთხოვოს შემწეობის აღმოჩენა, ვინც რამდენს მოისურვებს. გადამწვართა უბედურება კლდით აუწყრელია, და თითოეულს ჩვენგანს ამათმა გაჭირვებამ უნდა მოგვადგინოს უფლის სიტყვა: „გვიყვარდეს მოყვანი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ყოველი შემოწმებული პირი დიდი მადლობით იქნება მიღებული. შეწირულობა გაიგზავნება კომიტეტის სახელზე დაბა ლილიაში.
თავადგომარე კომიტეტისა ლეჩხუმის მაზრის უფროსი, პოლიკავიკი ენკელი.

დაბა-სოფელი

ს. გაჩა (ლილია). ეს საფელი მღერბარობს სენაკიდან 35 ვერსის მოშორებით. აქ აგრეთვე მდებარეობს კლასიკური სამსწავლო სახლი „სკოლა“ არსებობს, სადაც სწავლობენ ყველა წოდების ბავშვები. ბევრს ამ სკოლაში კურს დასრუ-

ლებულს თავისი წვლილი შეუტანია ხალხის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის საღაროში.
1911 წელს ადგილობრივი ბლალ. კ. ჩაიხიბიასი და მასწავლებლის კ. ანჯაფარიძის თაოსნობით აქ დაარსდა წვერილი კრედიტის ამხანაგობა, რომლის წევრთა რიცხვიც დღეს ხუთასს აღწევს. 1913 წ. დამლევეს მოხდა წლიური კრება ბ. ინსპექტორის თავჯდომარეობით. საქმის წარმოება ჩინებული იყო დაყენებული და განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 1913 წლის განმავლობაში, წვერილმა ხარჯს გარდა, მოგება დარჩა 176 მანეთი; აქიდან 160 მანეთი გადასდეს მომავალი საქალაქო სასწავლებლისთვის. კრებამ საქმის მწარმოებელი დიდი მადლობა გადაუხადა. მომავალი მოგებიდან 180 მან. გადასდეს სპუალტორის ჯილდოთ. ხაზინადარს დაუნიშნეს 60 მანეთი. ბანკის თავჯდომარეს კრებამ სთხოვა მიეღო ჯილდო სამი წლის დაუღალავი შრომისთვის ბ. კ. ჩაიხიბიასი ჯილდოზე უარი განაცხადა და კვლავ დამარდა ამხანაგობას, რომ თავის შრომას არ მოაკლებს მომავალშიც. მასწავლებელს ილია ხუბუსი, ესტ. კვაშილავასა და ლევ. ბეს. სურმავეს კრებამ ჯილდოთ წლიურათ თითოეულს სამი თუმანი დაუნიშნა. ერთი საბჭოს წევრი ავამყოფობის გამო კრებამ გათავისუფლა. მის მაგიერათ აირჩიეს მასწ. ილ. ხუბუა.

დასასრულ კრებამ გამოგობისა და საბჭოს წევრებს გულწრფელი მადლობა გადაუხადა საქმის კარგად წარმოებისთვის და ყველა თავთავის ადგილზე დარჩა. ინსპექტორმა ფომენკომ აღუთქვა კრებას—იშვამდგომლებს მთავრობის წინაშე გმელვადიანი სესხის მიცემის შესახებ. ამ ფულით საზოგადოებას სურს გაკეთდეს ვენახები. ყველა მიწის გადამრუნებას შეუდგა.

გვიან სჯობია

ამასწინათ „ერის“ 25 №-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი, რომელშიც საბჭოს გზის 22 მუშისგან ხელმოწერითი საწინააღმდეგო პასუხი გამოიწვია. „მუშები“ სწორდნენ, რომ „არავის დაუვალდება თქვენთვის ჩვენი დაცვა“. მე ეს ფიქრითაც არ მომეწონა და დემეტრე დამიჯაროს თქვენისთანების დაცვისგან ჩემს წერილში ფაქტი აღნიშნე, სხვათა შორის, და რაც იყო, კიდევ უნდა გავიმეორებო: მუშებში ბძანდება ორი-სამი ვაჭარბარი, რომელნიც თავისი ნებით არიან დანიშნულნი ვითომ მუშების კომისიის და არა უმრავლესობისგან არჩეული; ამით უნდა დიაციან თქვენი ინტერესები. მაგრამ ყველამ გაიგო, როგორი დამცველიც არიან ასე თვითნებობით არჩეული თქვენი კომისიები. ეს ახალი ამბავი არაა თქვენთვის. ასეთ საშვალეებს მიმართავთ ყოველთვის, როცა საქმე ცუდად გაქვთ და როცა თქვენ-

როგორც ვიცი, გასულ წელს აბრეშუმის თესლი ბაზარზე საზოგადოებრივად ნაკლებად იყო, წელსაც, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, თესლი შარშანდელზე კიდევ უფრო ნაკლებია. შარშან ბევრმა ჩვენმა მყიდველმა გვისაყვედურა, თუ რატომ არ გავაგებოთ, ან თესლი არ შევუწახეთ. ამიტომ ყველა

სახალხო დიდის აბრეშუმის თესლის

მყიდველთა საყურადღებოთ ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დაბეგვონ, ვინაიდან თესლი დაუბეგვლათ არავის შეეწახება და, მ.შასაღამე, ბოლოს საყვედურიც უადგილო იქნება.

ჩვენს ადრესს: ბათუმი, მარინსკი პროსპექტ, საკუთარი სახლი 10.—ერთადერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლის ბათუმის, ქუთაისისა და თფილისის გუბერნიებში მათე კაბრაქაძის ძე რუსაძე.

ამერიკული ვაჭრების სანერგე ქუთაისში „გლო-ჟურნალი“

ყოველთვის ურჩევს მიწის ნიადაგის მხედვით შესაფერი დამირებული ვაჭრების არჩევას, აფრთხილებს მემამულეებს რეპესტრასზე დამყნული ვაჭრების ხმარებისგან, რომელიც იძლევა ნაკლებ მოსავალს და ღვიწკ ღირსებით ნაკლები ხარისხის გამოდის, და რომელიც იწვევს ყველაზე მეტს სიჯიშის ავთოფიფიკაციას საძირზე. დამადებული გვაქვს გასაყდათ: ცოლიკოური, კრახუნა, ციკა, წვანე, რკა-წითელი, საფრანგო, ოცხანური და ბევრი სხვა ჩვენებური და გერმანული ჯიშისა და აგრეთვე საგაბე საკმელი ყურძნის ჯიშის, რომლებიც დამყნდება სხვადასხვა საძირზე ყოველნაირი ნიადაგის მიწებისათვის. საღვინე ღვინის ვაჭრების ფასი—1000—75 მან. პრესტურანტი ავსვენება უფასოთ.

გან დაგებულს ხაფანგში თვით ჩაკრავთ ფეხს. 90 მუშაში 22 კაცმა გითანაგებრანოთ, სხვა 68 კაცი რა უყავით? სარევიზიო კომისია არ არსებობს და ყოველი თქვენი მოქმედების ანგარიში არ გინდათ წარუდგინოთ თქვენს ამხანაგებს. მე მიყვინებთ „არამკითხე პირისუფლობას“ და თქვენი კი მართლა არამკითხე პირისუფალი ბძანდებით თქვენი ამხანაგებისა; არ აურჩევიათ, 22 კაცის და არა უმრავლესობის დაუკითხავათ მოქმედობით. და, რომ იმ 22 კაცში მთვანხა 5—6 კაცს, ვინც ექვსი თვლით უყურებს იმ საპროტესტო წერილს, რომელზეც ხელი მოაწერით. რა ნათელი და ცხადია ყველასთვის, რასაკვირველია, გარდა თქვენისა, —რამდენათ საზოგადო მოღვაწეიც ბძანდებით და დამცველნი თქვენი ამხანაგებისა!

გ. მუხისელი. წერილები რედაქციის მიმართ. ბატონო რედაქტორო!

ქ. ვრცელში უდროოთ გადაცვლებული ნატალია ლუკა ქორქაშვილის ასულის კუბოს გვირგვინით შესამკობთ შემოსწირეს: 2. ბადრიძემ—5 მან., ი. სიდავამ—2 მ., ა. კვიტაშვილმა—მანეთი ნახევარი, დ. ხოშტარიამ, ვლ. ხოშტარიამ, ი. მარტაშვილმა, ი. ხოჯაშვილმა, გ. ადამიშვილმა, 3. ადამიშვილმა, ლ. ნათაძემ, ი. ქავთარაძემ, კ. ჯანდიერმა, მ. ჯომარჯიძემ, ნ. ფაღვლენიშვილმა, მ. ჭიჭინაძემ, რ. ცალქალაძემ, ლ. ყიფიანმა, ვ. ფურცელაძემ, ვ. ციმაკურიძემ, გ. კეკელიძემ, ნ. მესხმა, ნ. ჩიგოვნიძემ, რ. სანიკიძემ და სხვამ—თითო მანეთი, ი. ბახტაძემ, 3. ნარიშვილმა, ი. სურმავემ, მ. ანდლუქაძემ, ა. კილიძემ, 3. ორჯონიკიძემ და მიშამ—თითო შაური და ი. დევაძემ—2 აბ. აქიდან სამგლოვიარო გვირგვინში, ლენტის დაბეჭდვაში და ყვავილებში დახმარება 18 მან. და 18 შ. დანარჩენ 14 მან და 10 შ. გიგზავნით ქუთაისის გუბერნიაში დამშეულთა სასარგებლოთ ნატ. ქორქაშვილის ასულის სახსოვრათ.

საზოგადოების მონაბილობით ილ. მარჯაშვილმა და ელდამერ სოჭრამა.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალეებით უდრემესი მადლობა გამოვუცხადოთ ქიათურის ქართულს დრამატულ საზოგადოებას, რომელმაც კეთილ ინება და 27 თებერვლისათვის უფასოთ თეატრი დაგვითმო და მასთან ნება დართო თავის არტისტებს ითანაშონ ზესტაფონის წ. კ. ს. განყოფილების სასარგებლოთ როგორც ქიათურაში, აგრეთვე ზესტაფონშიც.

ქ. შ. წ. კ. ს. ზესტაფონის განყოფილების გამგებმა.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

გებოლება ხელისმომწერა
„სასოფლო გაზეთი“
24 ნოემბ. უგვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.
მიიღება ხელისმომწერა 1914 წლისთვის.
წლიური ფასი 4 მან.
ნახევარი წლის 2 მან.
ფუფის შემოტანა შეიძლება ორჯერ:
2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი პირველ მაისისთვის.
მთელი წლის ხელისმომწერა გაიგზავნებათ სასურველ ბოსტნეულობის საკვები ბაღების თესვების და წიგნაკები.
ფუფის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Шко-ла, Александру Давидовичу Шарашидзе.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო გაზეთი“
(წელიწადი მესუთი)
1914 წ. გამოცემა იმეგზავნებათ, როგორც აქაში გამოდიოდა კვარაყბათ სურათებიანი დამატება
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდინა მიიღებენ პრემიას: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „გუგარგანა შეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მამყრადო შარაგანი“ ისტ. რომ გ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. „შოლო-რისი, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა შესაშვ წიგნი „სამეცნიერო კრებული“. ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.
გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი
თფილისში და მის გარედ.
12 თ. 11 თ. 10 თ. 9 თ. 8 თ. 7 თ. 6 თ. 5 თ. 4 თ. 3 თ. 2 თ. 1 თ.
83.10შ. 8 მ.—, 79.10შ. 63.15შ. 6 მ.—, 58.5შ. 48.10შ. 38.15შ. 3 მ.—, 28.5შ. 18.10შ.—18შ.
სახელმწიფო გარეთ.
15მ.—, 133.15შ. 129.10შ. 113.5შ. 10შ.—, 83.15შ. 79.10შ. 63.5შ. 5შ.—, 38.15შ. 28.10შ. 18.5შ.
ცალკე ნომერი უგველან. შურათ; დამატებათა შეიძლება გამოკვეთა.

თებერვლის უგზანსეულ რიცხვებში დასესლ სტუდენტთა ინციატივით გამოცემა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებულ „ცხოვრება და მეცნიერება“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივი უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულისგან გადაიღება ადგის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

ს ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი
ბრ.—დრ. ს. ავალიანი. დრამები გადგეზულ გეგმას საკითხი. ორდინატორი ნერ-გაულ კანაქისა აქაში ს. ვიშაქა: საგარეო ტრანს აფრეცეპსე. მრავალკარი ანტონიურ თეატრისა აქაში ნ. კახიანი: ნარმაჯურ ანტონიის შესავალი (უფრადი და ქსოვადი). ორდინატორი გენერალ კათარაზე აქაში მ. ტეხეძაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტო მ. ჭაყრაძე: ანაბიზი, სტ. ქ. რაჭველიშვილი. სუბა-რი ხელაქების შესახებ. სტ. ს. ახანაშვილი. სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო. სტ. გ. კარბაქაშვილი. სასაზოგადოებო (მოთხ. სტუდ. ცხოვრ.) სტ. დ. ჯვარცა. ბავშვის აღზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში ქ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკიაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ელირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

გ. გომიჯიშვილისა და ს. ვერხთლის კრებულის წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გადგეზვების, იურა სტეფანეს მას წინაგამდგევის ბეშკის მინებას ქარხნისა, მაქცელო განსაკუთრებული უფრადება მინის უფრადებასს „ВЕРСКОЕ“ ჩაიწეულბის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო წიგნებისგან
მიღებათი ჩაიწეული
საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; საღებრობა ხელსაწყოები, ფანჯრის მინები, რკინის ნიშნები, ლურსმანი, მაგ-თული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ. ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, სკუთარ შენობაში, მსხედის ქუჩაზე № 65

რევიზიის ცხრილი

ქუთაისიდან მიღის

ქუთაისის მოღის.

თფილისიდან:	სახალხო	ლილის	10 საათ.	6 წ.
	ფოტის	ლილის	11 საათ.	55 წ.
	სახალხო	ლაშით	11 საათ.	27 წ.
ბათუმის:	სახალხო	ლილის	5 საათ.	10 წ.
	სახალხო	ლაშით	11 საათ.	27 წ.
	ფოტის	საღამოს	5 საათ.	21 წ.
ფოთის:	საგარეო	ლილის	4 საათ.	22 წ.
	სახალხო	ლაშით	5 საათ.	10 წ.
	ფოტის	ლილი	5 საათ.	21 წ.
ზორაშენიდან:	საგარეო	ლილი	4 საათ.	57 წ.
ბათუმის:	სახალხო	ლილის	7 საათ.	50 წ.

თფილისიდან:	სახალ.	ლილ.	7 საათ.	—
	ფოტის	საღამ.	6 საათ.	55 წ.
	სახალხო	ლაშ.	1 საათ.	28 წ.
ბათუმისა:	საფ.სახ.	ლილ.	11 საათ.	14 წ.
	სახალხო	ლაშ.	1 საათ.	27 წ.
ფოთისა:	საგარ.	ლილ.	10 საათ.	3 წ.
	სახალხო	ლილი	1 საათ.	20 წ.
	სახალ.	ლაშით	1 საათ.	26 წ.
ზორაშენიდან:	საგარ.	ლილის	9 საათ.	31 წ.
ბათუმისა:	საღამოს	—	5 საათ.	11 წ.

ბ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი:

		II კლ.	III კლ.		
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
თფილისიდან	—	4	31	2	87
ბათუმისა	—	3	5	2	3
ფოთისა	—	2	21	1	47
ქიათურაში	—	1	76	1	17

		II კლ.	III კლ.		
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ბაქოში	—	10	81	7	20
მოსკოვიდან	—	27	90	18	65
პეტერბურგიდან	—	33	81	22	20
ვარშავიდან	—	31	50	21	5